

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხებისა
და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

ოქმი N 3

ქ.ვანი თავისუფლების N65

10 მარტი 2021 წელი

13:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გიგა გოგიბერიძე, მალხაზ ცერცვაძე, დავით ხარძეიშვილი, გია ხარაბაძე, დავით ადეიშვილი, შოთა გიორგაძე, სანდრო ხურციძე.

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ: ბიჭიკო პაიკიძე, აპოლონ რამიშვილი, გია ოჩხიკიძე, პაატა ხურციძე, რობიზონ ფუტკარაძე, ალექსანდრე ოქროპილაშვილი.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

/დანართი N1/

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - გიგა გოგიბერიძე (კომისიის თავმჯდომარე)

მოწვეული პირი: ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი - **ზვიად კაპანაძე.**

ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი - მამუკა ნამიჭეიშვილი

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე**

დღის წესრიგი

1. „ვანის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ“

მომხს: მამუკა ნამიჭეიშვილი

2. „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და შპს „მაგთიკომი“-ს შორის 2010 წლის პირველს თებერვალს დადებული ქირავნობის N 28 ხელშეკრულების 6.1 პუნქტში ცვლილების შეტანისა და 6.2 პუნქტის ამოღებისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“.

მომხს: ზვიად კაპანაძე

3. ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ დიხაშხოს ადმინისტრაციულ ერთეულში მე-12 ქუჩის მწერლისა და პუბლიცისტის ნიკოლოზ აგიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ.

მომხს: გიგა გოგიბერიძე

გადაწყვიტეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს :

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მამუკა ნამიჭეიშვილმა წარმოადგინა განკარგულების პროექტი - „ვანის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტები.

კომისიის მხრიდან მოწონებული იქნა მომხსენებლის მიერ წარმოდგენილი პროექტები.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს მიმართა, წარმოდგენილი საკითხის მიმართ ხომ არ გაქვთ შეკითხვა ან შენიშვნა, კომისიის წევრებს მოსაზრებები არ დაუფიქსირებიათ.

კომისიის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭიყრაზე.

მომხრე - 7

წინააღმდეგი - არცერთი

/დანართი N2/

გადაწყვიტეს: წარმოდგენილი საკითხი მზად არის გავიდეს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

მოისმინეს:

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი - „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და შპს „მაგთიკომი“-ს შორის 2010 წლის პირველ თებერვალს დადებული ქირავნობის N 28 ხელშეკრულების 6.1 პუნქტში ცვლილების შეტანისა და 6.2 პუნქტის ამოღებისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე”.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ცვლილება შედის ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და შპს „მაგთიკომი“-შორის 2010 წლის პირველ თებერვალს დადებული ქირავნობის N 28 ხელშეკრულების 6.1 პუნქტის ამოღებაზე. კერძოდ; დამქირავებლის მიერ გამქირავებლისათვის გადასახდელი ქორა თვეში შეადგენს 1,200 ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით, ხილო 6.2 პუნქტი ამოღებული იქნება ამ ხელშეკრულებიდან.

მომხსენებელმა განმრტა, რომ წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე კეთდება წყლის რეზერუარი, რომლითაც არქეოლოგიური მუზეუმს მიეწოდება წყალი.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს მიმართა, წარმოდგენილი საკითხის მიმართ ხომ არ გაქვთ შეკითხვა ან შენიშვნა, კომისიის წევრებს მოსაზრებები არ დაუფიქსირებიათ.

კომისიის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭიყრაზე.

მომხრე - 7

წინააღმდეგი - არცერთი

/დანართი N3/

მოხმინეს:

დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიგა გოგიბერიძემ კომისიის წევრებს გააცნო საკრებულოს წევრის შალვა ლორთქიფანიძის ინიციატივა სოფელ დიხაშხოს ადმინისტრაციულ ერთეულში მე-12 ქუჩისთვის მწერლისა და პუბლიცისტის ნიკოლოზ აგიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ ინფორმაცია.

კომისიამ აღნიშნული ინიციატივა მიიღო ცნობის სახით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

გიგა გოგიბერიძე

ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხებისა
და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე